საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 22 ივნისის №84 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 9 000 ლარით, ხოლო ხარჯვით ნაწილში გაიწეროს პროგრამით „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლის ხელშეწყობის პროგრამა“ სხვა ხარჯების, სხვა სახელობითი სტიპენდიის მუხლში;

2. 2015 წლის 10 ივნისის №167 წერილის საფუძველზე, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციიდან სტუ-ის ანგარიშზე ჩარიცხულია 25 000 ლარი, რომელიც განკუთვნილია საქართველოს 25-ე ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული სტუ-ის ხელბურთის გუნდის დაჯილდოებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 25 000 ლარით; ხარჯვით ნაწილში 12 000 ლარი გაიწეროს პრემიის მუხლში, ხოლო 13 000 ლარი – სხვა ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების მუხლში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე